საქართველოს თავდაცვის მინისტრი

MOD 1 21 00353832

16/04/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ **ირაკლი ბერაიას**

ბატონო ირაკლი,

თქვენი მიმდინარე წლის 6 აპრილის N3091/4-8/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში გასულ და მიმდინარე წელს მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აქტიური მუშაობის პროცესი სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელოვნად რეფორმირების მიზნით. მუშაობა მიმართულია ისეთი ცვლილებების განსახორციელებლად, რომლითაც მიიღწევა: სავალდებულო სამხედრო სამსახურის მეტი პოპულარიზაცია საზოგადოებაში; ერთიანი სტანდარტით გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურეები და რეზერვი; ასევე, თავდაცვის ძალების სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტების (პროცენტული მაჩვენებლების) გაუმჯობესება და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება.

ცვლილებების ძირითადი ნაწილი აისახება თავდაცვის ახალი კოდექსის ფარგლებში (კოდექსის ამოქმედებიდან სამი წლის შემდგომ ამოქმედებით) და ითვალისწინებს:

- სამსახურის გავლას მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში და ქვეყნის თავდაცვის მიზნებისათვის;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის სახელწოდების ცვლილებას (აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია როგორც საკანონმდებლო ხარვეზების გასწორების, ასევე, სამსახურის იმიჯის შეცვლის მიზნით).

კანონმდებლობაში ცვლილებების ამოქმედების შემდგომ, თავდაცვის სამინისტროს ნორმატიულ და შიდა ადმინისტრაციულ აქტებში განიხილება დამატებითი ცვლილებების განხორციელება, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- სამხედრო სამსახურის გავლა ყოველდღიური რეჟიმით, დადგენილი შინაგანაწესის შესაბამისად (სამსახურის საათების შემდგომ დათხოვნის, უქმე/სადღესასწაულო დღეებში დასვენების და შვებულების უფლებებით);
- სამხედრო სამსახურის გავლის ალტერნატივები სხვადასხვა ქვედანაყოფებში (განიხილება სამსახური სხვადასხვა სარდლობების საშტაბო და დაცვის ქვედანაყოფებში, ასევე, საბრძოლო ქვედანაყოფებში);
- სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასების მატება.

შტამპდასმულია
ელექტრონულად
საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე